

კონსულტაცია

თ ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ შ ი ფ ი ლ ე ბ ა

უმაღლესი მარიზმის.


წევადობითა და თანამდებობითასთა,

ჩვენ ნიკოლოზ მეორე,

იმპერატორი და თვითმშემოხედი სრულიად რუსეთისა,
მევე ჩოლონეთისა, დადი მთავარი ფინლანდისა და
სხვათა და სხვათა და სხვათა.

ვუცხადებთ უველა ჩვენს ერთგულ ქვე-
შევრდომს: ლეთის განვების ნებით აღვედით
წინაპართა ტახტზე და სამღვოო აღთქმა დავ-
დეთ წინაშე უზენაესისა და ჩვენის სეინიდისისა.
წმინდათ დავიცვათ ძველნი საფუძველნი რუსეთის
სახელმწიფოსი და სიცოცხლე ჩვენი შევალიოთ
საყარელის სამშობლოს მსახურებას. ჩვენთა ქვე-
შევრდომთათვის დაუძინებელმა ზრუნვამ დაგვიყენა
თვალწინ გზა განსახორციელებლათ საერო კეთილ
დღეობისა. ეგ ორის, გზა, რომელიც გვიჩვენებს
მარად სახსნებელ საჭმეთა თვითმყრობებს ჩვენთა
წინამოადგილეთა და უპირველეს ყოვლისა დაუციწ-
ყარი ჩვენის მშობლისა. ყოვლად შემძლებელმა
ღმერთმა აუარებელთა გზათა შინა თვისთა ინგბა
შეწყვეტილიყო უდროვოთ გარდაცვალებით მეფური
ღვაწლი საყარელის ჩვენის მშობლისა და ჩვენთვის
დაეკისრებინა სამღვოო ვალი განგვევრდო მის შეირ
დაწყებული საქმე რუსეთში წესიერებისა და სიმარ-
თლის განმტკიცებისა საერო ცხოვრების ახლად
აღმოცენებულ მოთხოვნილებათა შესაბამათ. ჩვენდა
დიდათ სამწუხაროთ, ამბოხება და არეულობა, გან-

თესილი თანამედროვე სახელმწიფო წესწყობილების
საწინააღმდეგო ზრახვითა იმ აზრთაგან გატაცებით,
რომელნიც უცხოა რუსეთის ცხოვრებისათვის, ხელს
უშლის შეერთებულ მუშაკობას საერო კეთილდღე-
ობის დასამყარებლათ. ეს ამბოხი ამღელვარებს ადა-
მიანთა გონიერას, გულს ოცრუებს ხალხს ნაყოფიერ
მუშაკობაზე და არაიშვიათად ღუპავს ახალგაზღათა
ძალ-ღონებს, ჩვენთვის ძვირფასს და მათ ოჯახთა და
სამშობლოსათვის საჭიროს. ჩვენის ნების უველა
ამსრულებელთ, როგორც მაღალს, ისე დაბალს
ვუბრძანებთ, მტკიცედ ეწინააღმდეგონ საერო ცხოვ-
რების წესიერ მიმდინარეობის ყოველს ხელის შემ-
შლელს. იმედი გვაქვს, რომ უველანი საერთოდ
და თითეული ცალკე პატიოსნად შეისრულებს თვის
მოვალეობას. ჩვენც ჩვენი მხრით შეუდრეველი სიმ-
ტკიცით და გაბედულობით აღვიწურვებით, რათა
დაუყოვნებლივ დავაკმაყოფილოთ უკვე მომწიფე-
ბული სახელმწიფო საჭიროებანი. იმიტომ საკეთი-
ლოდ მივიჩნიეთ: განვამტკიცოთ საქმე სათანადო
მთავრობის მიერ სარწმუნოების შეწყნარებისა, რო-
გორც აღნიშნულია რუსეთის იმპერიის ძირითად
კანონებში. ამ კანონებისამებრ მოწიწებით უნდა
მიჩნეულ იქნია მართლმადიდებელი ეკკლესია პირ-
ველ და უმთავრეს ეკკლესიათ, გარნა ამასთანავე
ნება ეძლევა ყველა ჩვენს ქვეშევრდომს სხვა სარწ-
მუნოების და აღსარებისას თავისუფლად სწამდეთ
თვისი სარწმენი და თავისუფლად აღასრულებდნენ
ღვთის მსახურებას თვისი სარწმუნოების წესიაგბრ;
საკეთილდღე მივიჩნიეთ, განვაგრძოთ მხნედ მიღება
იმისთანა ღონისძიებათა, რომელთა წყალობრითაც
შესაძლო იყოს სოფლად მართლმადიდებელ სამღვდე-





ლოების ნივთიერ მდგრადარეობის განკარგება, რათა მით უფრო გაძლიერდეს ღვთის მსახურთა მიერ ნა- ყოფიერი მონაშილეობის მიღება სამწყსოს სასული- ერო და საზოგადო ცხოვრებაში; საკეთილოდვე მივიჩნიეთ, იმ სურველთა ონსასრულებლად, რომელ- ნიც უკვე თვალშინ დავიყენეთ სასოფლო მეურნე- ობის საქმეში, მიემართოთ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა, განსაკუთრებით სათავად-აზნაურო და საგლეხო საადგილ-მამულო ბანკების მოქმედე- ბას რუსთის სასოფლო ცხოვრების უმთავრეს ბურ- ჯთა უაღრესად განმტკაცებისა და კეთილდღეობის გზაზე დაუწენებისათვის, ევ ბურჯების სოფლად მცხოვ- რები თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა; საკეთი- ლოდვე მივიჩნიეთ, ჩვენ მიერ განზრახული შრომა სასოფლო კანონმდებლობის გადასინჯვისა, როცა ეგ საქმე პირველად განხილულ იქნება ჩვენ მიერ ნახევნები წესით, დაფაგალოო ადგილობრივ საგუ- ბერნიო ბჭობათ, რათა დანარჩენი წვრილმანი მათ შეიმუშაონ და შეუფარდ კანონი ადგილობრივ ვითარებას, იმათი მახლობელი მონაშილეობით, ვინც ლირსეულ მოღვაწეთ ითვლება და საზოგადოების ნდობით არის მოსილი; საკეთილოდ მივიჩნიეთ, რომ ამ შრომას საფუძველად დაედვას ხელ-უხლებ- ლობა სათემო წეს-წყობილებისა საგლეხო მიწათ- მფლობელობაში,—თან ისეთი ღონისძიება უნდა იქნას მონახული, რომ თითოეულ გლეხს შეეძლოს განთავისუფლდეს; უნდა მიღებული იქნას დაუყოვ- ნებლოვ ღონისძიება, რათა მოიხსოვ გლეხთათვის შემაწუხებელი საურთიცერთო თავდებობა; უნდა გა- დაკეთდეს საგუბერნიო და სამაზრო მართველაბანი, რათა განკარგებულ იქნას სხვა-და-სხვა ღონისძიება პირდაპირის დაქმაყოფილებისათვის საერთ-სათემო ცხოვრების მრავალგვარ საჭიროებათა ადგილობრივ კაცთა შრომით, ისეთ კაცთა, რომელთაც ხელმძღვა- ნელობას უნდა უწევდეს ძლიერი და კანონიერი მთავრობა, ჩვენ წინაშე სასტიკად პასუხის მეტელი; უნდა სასურველი იქნეს ცნობილი სოფლის ცხოვ- რების შემდევში უფრო განკარგებისა და მოწესრი- გებისათვის დაახლოვება საზოგადოებრივ მართვე- ლობისა და მოღვაწეობა საეკვლესიო სამზრუნვე- ლოებისა იქ, სადაც კა ეს შესაძლებელი იქნება. მოვიწვევთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ ხელი მოგვიმართონ და დაგვეხმარონ დასანერგათ ოჯახსა, სკოლასა და საზოგადო ცხოვრებაში ზნეობისა, რო-

მელიც ასე საჭიროა, რათა თვითმშეყრობელის ხელ- მწიფების ფრთხოა ქვეშე განვითარდეს საერთო კე- თილდღეობა და რწმენა თითოეულისა, რომ მისი უფლება მტკიცეთ და შეურცეველად დაცული იქნება. ამიტომ ვუბრძანებთ ჩვენს მინისტრებს და ცალკე მხარეთა მთავარ-მართებელთ, ვის უწყებასაც ეს შე- ეხება, წარმოგვიღვინონ ჩვენ მოსაზრებანი იმ წესის შესახებ, თუ რა წესით უფრო განხორციელდება წინასწარ განმარტებული ჩრავანი ჩვენნი. უფალი ყოვლად მცყრობელი გადმოავლენსმცა კურთხევასა სამეფოსა შრომისა ჩვენსა ზედა და შეგვეწვამცა ჩვენ, რათა სამშობლოს ყველა ერთგულ ძეთა შე- ერთებით აღვასრულოთ ფიქრი ჩვენი სახელმწიფო წესიერების გაუმჯობესობისა, დამყარებით ადგი- ლობრივ ცხოვრებაში მტკაცე წეს-წყობილებისა, აუცილებლად საჭიროსი ჩვენის დიდის სახელმწი- ფოს წარმატებისათვის.

ს.-პეტერბურგი, 26 დღესა ფეხერვლისასა, წელსა დაბადებილების ქრისტესა ათას ცხრას სამსა, ხოლო მეფობისა ჩვენისასა—მეცხრეს.

ნამდევილს მისის იმპერატორებითის უდიდებუ- ლებობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი“

~~~~~

ს ი ა,

საჭართველოს ეპკლესის წმიდათა, რომელთა დღენი იდღესსწაულების წირვითა, ზეთის კურთხ. და შარაკლ. (გაგრძელება \*)

19. ლირსი ანტონი შესვეტისა, შარტუმფელი სას- წაულთ-მოქმედისა. ერთი სირიელ მამათაგანი, იღვწოდა სვეტთან. მისი წმიდა ნაშთი დაკრ- ძალულია შარტუმფის მონასტერში 20 ვერ. მანძილზედ თფილისიდან.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება დამის თვევით. 26. წმ. დიდებულისა და კეთილ-მორწმუნე ივე- რის და აფხაზეთის მეფის დავით III აღმაშე- ნებელისა. ძლიერი და მხნე ქართველ მეფე- ბში, დიდი მლოცველი და მარხული იყო, მიიცვალა 1125 წ. და დაკრძალულია გელა- თის ტაძარში, მისგანვე აგებულში. როდესაც

\*] იხ. „მწერები“ № 4, 1903 წ.



წმ. ანტონ შარტყოუელი.



წმ. დავით აღმაშენებელი.

იცვლებოდა დაიბარა, რომ დაემარჩია ეკკლესიის შესავალ კარებში, რათა შემსვლელთ და გამოშვლელთ ეთქირნათ მისი საფლავი. მეფე სოლომონ იმერეთისამ 80 წ. XVIII ს. დაკრძალა გელათის სობოროს ტრაპეზზ ქვეშ.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ღამის თევით.

## თ ე ბ ე რ გ ა ღ დ ი:

22. წმ. 9-მმათა ყოლოელებისა, რომელთაც დაითმინეს წამება ქრისტეს სარწმუნოებისათვის მაჰმადიანთაგან მდინარე მტკვრის პირას.

განსაკუთრებით ღვთის-მსახურებას არ უჩენს.

## ს პ რ ი ღ დ ი:

15. წმ. მოწმისა სუხიასი და 16 თანა-მოლვაწისა მესუკიელებისა. წამებულ იქმნენ მე-II ს. დასაწყისში ძლიბანის (კახეთის) მეფის დატიონასის ბრძანებით სომხეთის მართველის ბოლოპასისაგან.

ტრიპარს და კონდაკს ქამნში უჩენს.

## მ ა ი ს ი:

1. წმიდისა დიღგბულისა საქართველოს დედოფლის თამარისა (მენელ-საცხებელ დედათა კვა-



თამარ დედოფლალი.

რიაკეში). ქალი საქართველოს მეფის გიორგი მე-III. ჩაიბარა რა მეფობა, გამოიჩინა დილი მხნეობა მართლმადიდებლობის სარწმუნოების დაცვასა და გავრცელებაში, განსაკუთრებული სიყვარულით ეყრდნობოდა მონასტრებისა და ტაძრების საქმეებს, უმეტეს ნაწილს თავისი ცხოვრებისას იტარებდა მონასტერში. მისი წმიდა და საფლავი მოთავსებულია გელათის მონასტერში.

ამ წმიდანის ღვთის-მსახურებას არ უჩენს.

7. ღირსისა და ღვთის შოსავი მამისა ჩვენისა იოანნე ზეთახწელისა, ასურელ მამათა წინამძღვალისა და მისი მოწაფებისა: სტეფანე ხირსელისა, ზენონ იუალოველისა, თადეოზ სტეფანე წმინდელისა, ისიდორე სამთავისელისა, პიროს ბრეთელისა და მიხეილ ულუშბიელისა. ეს ღირსი მამები, რომლებიც გამოცხადდენ ღირსი სიმყონ მესვეტის კუროხევით, იღვწოდნენ საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილებში, დაარსეს წმიდა ეკალესიები და დაამყარეს ქრისტეს სარწმუნოებაზედ ქართველები.


განსაკუთრებითი ღამის-თვეითი ღვთის-მსახურება.



იოანნე ზედაზნელი.

9. ღირსისა მამისა ჩვენისა შიო მღვიმელის სასწაულთ-მოქმედისა. თავისი სიმშვიდით, მაღალი ზეგობით და სიყვარულით ეს სირიელი მამათავანი გვაკონებს ღირსის სერვი რადონეჟელ სასწაულთ-მოქმედს. ღირსი შიოს სერნება იღღესასწაულება უველიერის ხუთშაბათს.

ღამის თევით ღვთის-მსახურებას უჩენს მარხვანში ყველიერის ხუთშაბათს.



ღირსი შიო მღვიმელი.

13. წმ. დიდებულისა მამისა ჩვენისა ექვთიმესი, ივერიის ეკკლესიის განმანათლებელისა საღმრთო წერილის თარგმნით ქართულ ენაზედ. ჩამომავლობით ქართველი თავადი, თავისი მამით იოანნე ივერიელითურთ იღვწოდა წმიდა ათონის მთაზედ. მისი წმიდა ნაშთი დაკრძალულია ივერიის მონასტერში.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ღამის-თვეით.

14. ორ ძმათა მოწამეთა დავით და ტარეჩანისა. ეწამენ 693 წ. სარაცინების მმართველთა აბდულისაგან.

განსაკუთრებით ღვთის-მსახურებას არ უჩენს.

(გაგრძელება იქნება).

# მწერები



№ 6

1883—1903

30 პარტი

## შ ი ნ ა ა რ ი ს ი:

**ოფიციალური განცოცილება:** უმაღლესი მანიფესტი.—სია საქართველოს ეკალესის წმიდათა, რომელთა დღენი იდენტური წირვითა, ზეთის კურთხვითა და პარაკლისითა.

**სალიტერატურო განცოცილება:** შორაპნის მაზრის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრების გამო დ. ყვი-რილაში 6 მარტს.—პატია გიგო (ლექსი). თ. როსტომ—გუდა ჩიქოვანი.—შურნალ—გაზეობიდან.—ახალი ამბები და შე-ნიშვნები.

**საჭირო და სასაჩვებლო ცნობათა განცოცილება:** მართლმადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკლესიო საზოგადოებითის დვთის მსახურების განმარტება. კაჭაზიე—საეჭვო კითხვების განმარტება.—განცხადება.

მორამნის მაზრის სამღვდელოების წარმომად-  
გენელთა კრების გამო დ. უვირილაში 6 მარტს.

(გაგრძელება \*)

მათი მეუფების სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება  
მთახდინა კრების ყველა წევრზე და დიდად და-  
აფიქრი ისინი. მართლაც რომ ვსთქვათ, სამღვდე-  
ლოებას არავითარი ყურადღება არა იქნა მტკცეუ-

\*) იხ. „მწერები“ № 5, 1903 წ.

ლი სამწყსოს დამოძღვრებაზე და მის გონიერით  
განვითარებაზე სარწმუნოების შესახებ. შეიძლება  
ზოგიერთებმა უწვენონ სამრევლო სკოლების არსე-  
ბობა და მეცალინობა სამღვდელოების მხრით მათ  
გამრავლებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სასწავლებ-  
ლებში ოღზრდილნი დიდს განსხვავებას არ წარ-  
მოადგენენ უსწავლელ ხალხთან შედარებით სარ-  
წმუნოებრივ განვითარების საქმეში. ყოველი მღვდე-  
ლი აშკარად სცნობს დღეს, რომ მათი სამწყსონი  
მოკლებულნი არიან თავიანთ მწერებთაგან ჯერა-

ვანად დამწყსვას და სიტყვა ქადაგებას. არ შეიძლება დღეს ვსოქვათ ჩვენს სამღვდელოებაზე, რომ მას არ შექმოს დაწყება საუბრებისა და სიტყვა ქადაგებისა სამწყსოსთან სარწმუნოებრივ და ზნეობრივ საგნებზე. მაგრამ მან არ იცის, თუ როგორ შეასრულოს ეს საუბრები, ქადაგება და მოძღვრებანი, რა საგნებზე და როგორ ელაპარაკოს, ებასოს მას და ეს ყველაზე უმეტესად აბრკოლებს მას. ეს უცოდინარობა აშკარად გამოირკვა თვით კრებაზე. ერთმა სამღვდელო პირმა განაცხადა შემდეგი აზრი: „სამწყსოს უნდა ვესაუბროთ და უქადაგოთ ყოველთვის, როდესაც შემთხვევა მოგვცემს მიზეზს. მრევლმა შეხედა მაცხოვრის ხატს; ამ დროს მღვდელმა უნდა დაუწყოს ქადაგება მაცხოვარზე. შემდეგ ნახა ღვთისმშობლის ხატი, ეხლა ამაზედ უნდა გაუმართოს საუბარიო, აგრეთვე დღესაწაულებზე“ და სხ... მეორე კრების წევრმა განაცხადა: „სამებაზე არაფერი არ უნდა უთხრათ ხალხს, რადგან ვერ გაიგებს და ჩემის აზრით, შესანიშნავი მღვდელთ-მთავრების სიტყვა-ქადაგებანი უნდა უკითხოთ მრევლს და ესეც საკმაო იქნება პირველ შემთხვევაში“... მესამე კრების წევრმა განაცხადა: „წევნ როგორმე ხალხი მივაწიოთ ეკალესიაში სიარულს, მერე უქადაგოთ და უქადაგოთ ისე სამ წლამდე და ბოლოს გეგმა შევადგინოთ ქადაგებისა“!..

ამისთანა აზრები, რასაკვირველია, ცხადად ამტკიცებენ, რომ უშეტეს ნაწილს სამღვდელოებისას არა იქვს კარგად შეგნებული და გარკვეული, თუ როგორ ესაუბროს ხალს, რაზედ ელაპარაკოს და როგორ. ამის გამო დეკ. დ. ლამ-ძემ მოახსენა კრებას: „საუბრები მრევლთან, ქადაგება და დამოძღვრება ბევრნაირია. მღვდელს თუ წინდაწინვე არა იქვს განსაზღვრული, თუ წინდაწინ არ იქვს თავისი სწავლა მოძღვრების გეგმა სამწყსოსთან საუბრების გამართვისა, თუ წინდაწინ არა იქვს გაკვლეული გზა, იგი დაიბნევა და მისი სიტყვა-ქადაგება მოსალოდნელ ნაყოფს ვერ მოიტანს. დიდი სამნელო საქმე არის მღვდლისათვის ქალაქებში და დაბებუში საუბრების შედგენა სამწყსოთათვის, რადგან ამ ალაგებში ერთნაირი სწავლის არ არიან მსმენელნი. რაიცა შეეხება სოფლის ეკალესიებს, იქ უფრო საადვილოა საუბრების გამართვა. სოფლებში ხალხი თითქმის ისე უვიცია სარწმუნოებრივ და ზნეობრივ სწავლის საქმეში, როგორც პირველად სასწავლებ-

ლებში შესული შეგირდები. უნდა იყოს უთული შემუშავებული გეგმა, თუ რაზედ ესაუბროს მღვდელი მრევლს და ამ გეგმას უნდა ასრულებდენ ყველანი მტკიცეთ. ამ გზას იღიან ყველგან მოძღვრები და ესევე უნდა იყოს შემუშავებული და მიღბული ჩვენშიაც. მაშასადამე საჭიროა პირველად ყოვლისა შემუშავება საუბრების ინსტრუქციისა, საუბრების და ქადაგებათა გეგმისა, რომელიც სავალდებულო უნდა იქნეს ყველასათვის. საუბრები და სიტყვა-მოძღვრებანი ღვთის-მსახურებას გარეშე წარმოსათქმელნი სხვა-და-სხვა გვარნი არიან. ერთნაირი არის კატეხიზური, მეორე—ისტორიული და სხვ... თუ თავდაპირველად კარგად განსაზღვრული არ იქნა საქმე, სამნელო იქნება საუბრებიც. ჩემის აზრით, უნდა დაინიშნოს კომიტეტი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ეს გეგმა და ამის გარდა უნდა შეადგინონ პირდაპირ საუბრები, დაბეჭდონ იგინი და იქ, სადაც მღვდელი თავის სიტყვით ვერ მოუთხრობს ამ საუბრებს მრევლს, ზეპირად შეუძლიანთ წაკითხვა. ეს საუბრები უნდა იბეჭდებოდენ და ვრცელდებოდენ პატარა ფურცლებათ. კომიტეტის წევრები თუ პირდაპირ ორიგინალურს არ შეადგენენ, შეუძლიანთ იხელმძღვანელონ რუსულ ენაზე გამოსული საუბრებით. ბევრი რამ გამოდის დღეს რუსულ ენაზე და ძლიერ სამწუხაროა, რომ ჩვენში სამღვდელოება არ სარგებლობს მთ“. სხვა-და-სხვა აზრების გამოთქმის შემდეგ, მათმა მეუფებამ ბრძანა: „რასაკვირველია ყველას შეუძლია ისარგებლოს ნათარგმნებით. დღეს რუსულ ენაზე ბევრი ეურნალ-გაზეთები გამოდიან, რომელთავად სარგებლობა ყველას შეუძლია, მაგრამ ის არის სამწუხარო, რომ ყველა ამ ეურნალების გამოწერა თითოეულად არ შეუძლია ჩვენს სამღვდელოებას. ამისათვის მიუცილებლად საჭიროა თითო საბლაობისინოში დაარსდეს წიგნთ-საცავები. ერთი საბლაობისინოის ოლქის სამღვდელოებას აღვილად შეუძლია დაიარსოს წიგნთ-საცავები. ცოტაც რომ გამოიღონ ერთად მაინც ბევრს შეაღვენს და შეუძლიათ გამოიწერონ თითქმის ყველა სასარგებლო ეურნალ-გაზეთები და წიგნები. იმ დროს, როცა მწყემსთ სურთ თავიანთ სამწყსოთა განვითარება, რასაკვირველია, მიუცილებლად საჭიროა, რომ თვით მოძღვრებმაც უნდა ეცალონ თავიანთ თავის განვითარებაზე. მარტო სკოლა ვერ მიანი-

ჭებს კაცს სრულს განვითარებას. ნიადაგ უნდა მე-  
ცალინბდეს მოძღვარი, რომ განვითარებით თავის  
სამწყალს არ ჩამორჩეს უკან".

როდესაც საბლალობინო ოლქებში წიგნთსა-  
ცავების დაარსების შესახებ თავდებოდა ბასი, დეკ.  
დ. ლამბაშიძემ კრებას მოახსენა კიდევ შემდეგი:

"რასაკვირველია, ძლიერ საჭიროა სამღვდელ-  
ლოებისათვის, რომ თითო საბლალობინოში ჰქონ-  
დეს წიგნთ-საცავი და ყველა სარგებლობდეს მით.  
დიდი ხანია ვაკვირდები საბლალობინოებში წიგნთ-  
საცავების ისტორიას, მაგრამ უნდა ესთქვათ გამო-  
ტეხილი, რომ ჯერ-ჯერობით ამ წიგნთ-საცავებს  
დიდი განვითარება ჩვენს სამღვდელოებაში არა  
შეუტანია რა. მართალია დიდის ამბით და დღე-  
სასწაულობით გაუხსნიათ აქა-იქ ეს წიგნთ-საცავები,  
მაგრამ ზოგი მათგანი ვგონებ სრულებით იღარ  
არსებობს და ზოგი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ  
არსებობს წიგნები ოთახში ან განჯინაში და სამ-  
ღვდელოების განვითარების საქმეს სრულებით არ  
ეხმარება. ერთი ანგარიში არ არის გამოცხადებუ-  
ლი ამ წიგნთ-საცავებზე და ძლიერ საეჭვოდ მიგ-  
ვანია, რომ ეს წიგნთ-საცავები ასე ფარულად და  
შეუტყობლად ასრულებდენ თავის ღანიშნულებას.  
ჯერ-ჯერობით არც ერთი ამისთანა წიგნთ-საცავე-  
ბის კატალოგი არ გამოცხადებულა. ეხლახან გაიხ-  
სნა დიდის ამბით თფილისში ერთი წიგნთ-საცავი  
სამღვდელოების მეოხებით, ამ წიგნთ-საცავის კა-  
ტალოგმა ჩვენ გაგვაკვირვა"...

"თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ! თქვენი  
მობრძანება დღეს აქ, ყვირილაში იმ წმიდა მიზ-  
ნით, რომელიც აღინიშნა თქვენგან, ფრიად შესა-  
ნიშნავია ჩვენ შორაპნის მაზრის სამღვდელოების  
ისტორიაში. რომ გამოვიკვლევთ ხოლმე აღმოჩნდება,  
რომ დიდი საქმები პირველად თითქმის უბრალოდ  
და შეუნიშნავად დაწყებულა. იქნება ღმერობა  
ინებოს, თქვენის აქ მობრძანებით დღევანდელ  
დღეს დაარსებულ საქმეს, სასარგებლო და სასია-  
მოქნო შედეგი მოყვეს. აღსანიშნავად თქვენის აქ  
მობრძანებისა და დღევანდელი აქ სამღვდელოების  
კრებისა, მე ვსწირავ ჩემს საკუთარ წიგნთ-საცავს  
შორაპნის მაზრის სამღვდელოებას და საზოგადო-  
ებას. 1867 წლიდან ყოველთვის თვალ-ყურს ვა-  
დევნებდი და ბევრი სასარგებლო ურჩნალ-გაზეთები  
და წიგნები მომიპოვებია, არც ფული დამიზო-

გავს მათი მოპოებისათვის. თუ სამღვდელოება ერთ  
რიგიან წიგნთ-საცავს იქმნიებს მოელს მაზრაში,  
მე ვსწირავ ჩემს წიგნთ-საცავს იმ პირობით, რომ  
ეს საზოგადო წიგნთ-საცავი იქნეს დაარსებული  
ყვირილაში. დაბა ყვირილა დღეს რკინის გზის  
წყალობით ისეთი საშუალო ადგილია, რომ ყვე-  
ლას ადვილად შეუძლია მოსვლა და წასვლა. ყო-  
ველი მაზრის დაწესებულებანი დღეს ყვირილაშია  
და თითქმის ყველა სამღვდელოებას ხვდება აქ სი-  
არული. ამისათვის აქ დაარსებული წიგნთ-საცავით  
ყველას შეუძლია ისარგებლოს ვისაც სურს. ვისაც  
არ სურს თავისი განვითარება, იმას წიგნები ხელ-  
შიაც რომ ჰქონდეს, მაინც ვერ ისარგებლობს. წიგნთ-საცავს, რასაკვირველია, სახლი ზასჭირდება, მაგრამ იმედი მაქვს ჩვენი შესანიშნავი ქველ-მომ-  
ქმედი, გედევან ზურაბის ძე, აღმოგვიჩენს შემწეობას  
ამ სასარგებლო საქმეში".

ყვირილის ეკკლესიის აღმაშენებელმა გედევან  
ზურაბის ძე ჩუბინიძემ, რომელიც კრებაზე იყო,  
მოახსენა მათ მეუფებას და კრებას: "დიდის სია-  
მოვნებით ვეცდები, რომ ამ წიგნთ-საცავისათვის  
ავაგო შესაფერისი ქვითკირის შენობა ყვირილის  
ეკკლესიის ეზოში ჩემის ხარჯით, რომელშიც სამ-  
ღვდელოებას შეეძლება მოათავსოს თავისი წიგნთ-  
საცავი".

მათმა მეუფებაშ და მთელმა კრებამ მაღლობა  
გამოიუცხადეს დეკ. დ. ლამბაშიძეს და გ. ჭ. ჩუბი-  
ნიძეს მათი შეწირულებისათვის.

ამის შემდეგ კრებამ ამოარჩია კომიტეტი ხუთი  
მღვდლისაგან დ. დ. ლამ—ძის თავმჯდომარეობით,  
რომელთაც დაავალეს შეწირული წიგნების მიღება,  
წიგნთ-საცავისათვის სახლის გეგმის შედეგენა, დამ-  
ზადება აგრეთვე საუბრებისა და სიტყვა-ქადაგებისა,  
მათი ბეჭდვა და დარიგება ეკალესიებზე საკითხა-  
ვად და ზოგის ხალხში გავრცელება უფასოდ.

ამისთანა კომიტეტების დაარსება განზრახუ-  
ლია ყველა მაზრაში. ამ კომიტეტებს, რასაკვირ-  
ველია, დამოკიდებულება ექნებათ ურთ-ერთ შო-  
რის. ამით დასრულდა შორაპნის მაზრის სამღვდე-  
ლოების კრების მოქმედება. ამ კრებაზე სხვათა  
შორის ბევრი სჯა იყო საუბრების და პატარა  
წიგნაკების ხალხში გავრცელების შესახებაც, მაგ-  
რამ ამეებზე შემდეგისათვის მოველაპარაკებით მკით-  
ხველებს.

სოფლის მღვდელი.

## პაზია გიგო.

სევდით მოცული მშობელი  
კერას წინ იჯდა მდუმარე,  
თვალთაგან ცრემლი სდიოდა  
შეუშრობელი, მდუღარე.

მას წინა უდგა კერასთან  
პატარა გიგო მისიო,  
შესერებოდა მშობელსა  
ალერსით შენათვისიო.

განკვირდა მეტად პაწია  
დედისა ცრემლის ღვრაზედა,  
მასაც მოუნდა ტირილი  
ცრემლების დანახვაზედა.

აეცრემლოვნა თვალები  
შემაზარვად გულისა,  
და მშობელს გაუორკეცა  
ვარამი გულის წყლულისა.

დედამ შეკითხა: „რას სტირი,  
მითხარი, დედის ჭირიშე!“  
გიგომ მიუგო: „შენს ცრემლთა  
დანახვაზედა ვსტირი მე.

მითხარი დედა, მამბე,  
რამ აგაცრემლა მშარედო,  
ნუ დამიმალვ თუ გიყვარ,  
რისთვის ხარ გულ მწუხარედო!“

დედამ პასუხი არ გასცა,  
აღარას ეუბნებოდა,  
მაგრამ გიგო არ მოეშვა,  
ცრემლით ემუდარებოდა.

მაშინ უამბო მშობელმა  
რისთვის სტიროდა, დნებოდა,  
თანაც უწყალო ცრემლები  
ლაწვებზედ ეწვეთებოდა.

მოუყვა დედა იქედან  
გიგოს მამამ რო შეირთო,  
თუ რა გვარ ტანჯვა-წმებით  
მათი ცხოვრება მოერთო:

„მამა შენს ერქვა ტიმოთე,  
ის იყო კაცი ზრდილიო,

თუმცა ღარიბი, ულონო,  
მოყვების ერთგული, ტკბილიო.

მისი ღდიური შრომითა  
გვარჩენდა ღარიბულათა,  
მე ქოხს უვლიდი, ბალებსა  
ჯერს უმზადებდი სრულათა.

მისს მცირე-საწყალს ლუკმაში  
სხვებსაც უდებდა წილსაო,  
სხვის ჭირსა ჭირად იყოფდა  
და ლხინის დროზედ ლხინსაო.

ვინც მოითხოვდა იმისგან  
შველას და შემწეობასო,  
შეძლების გვარად იჩენდა  
მოყვეურსა წმინდა გრძნობასო.

თვითონ ულონის სხვებისთვის  
მზად ქონდა გასაყოფელი,  
თუმცა თვით მარად შიოდა—  
სხვის ჭირში იყო მგრძნობელი.

გვეტყოდა: „გრწამდესთ მცნებანი  
არღარა გასაწბილიო,  
რაც გვებადია იმაშიც  
ყველა მოყვასს აქვს წილიო.

აღარ შურავდა მოყვებისთვის  
რაც შეეძლო ძალ-ლონეს,  
მაგრამ მე, უა უბედურს,  
და იმა დღისა მომგონეს!..

ჩავარდა ერთს წელს ლოგინად  
არვინ შოხედა საწყალსო,  
აღარც გაკითხვა, ნუგეში,  
არც აწოდებდენ მას წყალსო.

ერთი მე ვიყავ მსახური  
მისი მოყვების ნაცვალი,  
სიმშილ-წყურვილით მიმღარი  
უნუგეშობით დამზრალი.

მისჭირდა, საკვდად განერთხო,  
ამოიკვნესა მშარედო,  
მითხრა: „ჩემი დღე სრულდება,  
შენ ნუ ხარ გულ-მდუღარედო!

ცოდვაა მეტი ვაება,  
ეს ვალი გვმართებს ყველასო,

ილოცე ჩემის ცოდვისთვის,  
მაღლი შესწირე ზენასო!“

მერე მოიხმო შენი ძალ  
ჩვენი პირველი შვილით,  
უთხრა: „იქმენინ ლეთის მიერ  
კურონხეულ დალოცვილით,

რომ ცხოვრებაში მცნებულ ვალს  
შენ ასრულებდე მარალო,  
ვინც ბრძანა მაშვრალთ შვებანი  
იჯი გეყალოს მფარალო.

სალ-ბკლავი რავდენ გიჭრიდეს  
ან საშუალების ღონეო,  
ალარ დაშურო მოყვისთვის,  
პირველ ის მოიგონეო!

ଓଲାର ଶ୍ରେଷ୍ଠଙ୍କୁ ପିର୍ବସ୍ତୁଳେ  
ଅମା ସନ୍ତୋଷିକୁ ଧର୍ମବାସୀ,  
ମେନ୍ଦ୍ର ଗ୍ୟାଜ ସାତନା ସାହମ୍ଭବେଦ,  
ବୁଝୁଣୁ ଆମାର ଥର୍ମବାସୀ!

მას გვედრი შვილო, გავალებ,  
ამის ვარ მხოლოდ მოხველი,  
მიმახარობლო საფლავში  
უნი სიქველე ყოველი!“

ରୀ ଡାକ୍‌ଖର୍ତ୍ତୁଳୀ ଥିଲେ କିମ୍ବା  
ଶତରୂପାର୍କେ ଫାରମନଟକ୍‌ମ୍ବୁଲୋନ,  
ମିଯର୍କଲ୍ଫନ୍ ଥ୍ୟୋଲୀ ଗ୍ୱାଲ୍ବେର୍ଦା  
ଏ ଗାନ୍ଧିତ୍ୱସ୍ଵରୂପ ଉପରେ।

იმ დღიდან ნიკოც შეუდგა  
მამის ანდერძის კვალსათ,  
მარად უამ თავსა სწირავდა  
მცეცნის საერთ ვაონსათ.

მას მეტი ბრძოლა დასჭირდა  
სიმართლის აღდგენაზედა,  
მაგრამ ის მაინც არ შეღრუა  
იმა კელოვანს გზაზედა.

ებრძოდა უსამართლობას,  
ქვეყნის მთელს, მოხანათესა,  
და კიდევ სხვების სარგებლად  
დევრი სიკეთე დასთესა!..

ମାଗରାମ ମାଫଳନ୍ଦିଳେ ନାପ୍ରାଣ  
ମାସ ମିଳାଗ୍ରେହେ କ୍ଷମାଲୋକିଂ!..  
ମଥୁରାନ୍ତର ଯେ ସିନ୍ତ୍ର୍ୟା ମରାକରିଛନ୍ତି  
”ଅସ୍ତ୍ର୍ୟକୁରାଗରିଲେ ମରମାତ୍ରାଲୋକ,

და იხარებდენ ყოველი  
ნათლითა მომავლითაო,  
კურთხეულ იყოს მაშრალი  
იმის ტებილ ნაყოფითაო!“

ରୁ ଦାଶରହୁଳୀ ଗ୍ର ଶିତ୍ୟବା  
ମାନ୍ଦ ଗାନ୍ଧୁତ୍ତେଷା ଶୁଲୋଇ!  
ମାସ ଅକ୍ଷେତର ବାର ଦେଖିଲେ  
ଦାମ୍ଭିତ୍ତାରି ଦାଦାଗୁଲୋଇ!

ეს არის შეიძლო რაც მკითხე,  
მიზეზი ცრემლთა ფრჩვევისო,  
ამ მოგონებით ვიტანჯვი  
და გული შრთლივ მეღვისო!“

ରା ମନୋମିଳିଙ୍କ ତାତ୍ତ୍ଵାର୍ଥ  
ଶ୍ରୀ ଶାଗରନ୍ଦନବୀ ଶିତ୍ୟଜ୍ଞବୀ,  
ଶୁଣିରୋ: „ନୀ ଶ୍ରୀନିରୀ ଧ୍ୟାନିଲେ,  
ପ୍ରାଣମଲ୍ଲିତା ନୃତ୍ୟାର ଉତ୍ସବେଶୀ।

ଲମ୍ବରତେବ ମାଦୟନ୍ଦଳେ, ରନ୍ଧ ଜୀବାରି  
ଓ ଶ୍ଵେତିପ କାର୍ଣ୍ଣଗ ଘୁମଳିବ,  
ଗଲଙ୍ଗବ ଏହ ଜ୍ଞନଦା ଉପରେବେ,  
ଗୁଲି କିମ୍ବିର ରାଜ ମୋଘରିଲି!

ხომ ხედავ შენსა ერთ ხორცია,  
და ძებუს რძეს რა უზრდია,  
რომ ლილი მცნება მაცხოვრის  
მათ სავალდებოდ უცვნია.

აწ მე მაკურთხე დედაო,  
დამლოცვე, როგორც მშობელი,  
მეც იმათს გზა-კვალს მიგნაძ  
არ ვიქწე დასაგმობელი.

မျှပ် ဖျော်ချော်ရွှေ ဖျွားလဲ့၊  
မြုမြိုက် စိမာတော် မြို့နှော်ပာ၊  
ရုံမ ဖျော်ပါ လုပ်ဖြော ဖျော်ဝါယာ  
စာမျက်နှာလဲ့ မြို့နှော်တာ မြို့နှော်ပာ..”

ରୂ ଗୋଗନ୍ଦା ମଥିଲ୍ଲେଖିନ  
ଗୋଗନ୍ଦାଙ୍କ ଯୁଗ ତଥିଲ୍ଲେଖି,  
ମାତ୍ରାଙ୍କ ମିଳିଲ୍ଲେଖନା ଶ୍ରେଷ୍ଠ  
ରୂ ଶ୍ରେଷ୍ଠ ମାତ୍ରାଙ୍କ ଉପରୀଲ୍ଲେଖି.

გამნევდა, გულს გადიყარა  
ურვა, ვაება გმობილი,  
ღმერთს შეავედრა მუხლ-მოყრით  
ლოცვითა ხელ-აპურობილი!..

### შურნალ-გაზეთებიდან.

გამოცხადებულია მთავრობის უწყება: „მივიღა  
თუ არა სტამბოლში ამბავი, არნაუტები დადის თავ-  
ხედობით დაქსნენ თავს მიტროვიცასაო, რუსეთის ელჩიმა არ დააყოვნა და მაშინვე მიაქცია დიდის ვეზირის ყურადღება იმ გარემოებას, რომ გამოც-  
დილებამ დაამტკიცა, რამდენად ამაოა ოსმალეთის მთავრობის მეცადინეობა არნაუტების დამორჩილე-  
ბისა მშვიდობიანობას გზითა და ჩაგონებითა, და რამდენად საჭიროა საჩქაროა იქმნას მიღებული სასტიკი ლონისძიებანი მეამბოხეთა დასასჯელად და ქრისტიანეთა უზრუნველ-საყოფელადა. ფერიდ-  
ფაშამ დაარწმუნა ზინოვიევი, რომ ჩვენი მთავრობა კარგად ჰგრძნობს, რა მოვალეობაც აძევს და ყო-  
ველის ლონისძიებით ეცდება მოსპოს ამბოხება და აღადგინოს მშვიდობაო. ამასობაში სტამბოლს მო-  
ვიდა დეპეშა, რომ არნაუტების ფანატიკოსობამ ახალი მიმართულება მიიღოვო და ამ ფანატიკოსო-  
ბის მსხვერპლი შეიქმნა რუსეთის კონსული მიტ-  
როვიცისაო. ამ სამწუხარო ამბის მიღების უმაღვე,  
ხონთქარმა დაავალა დეპეშით ოსმალეთის მთავრო-  
ბის წარმომადგენელს პეტერბურგში გამოუკიადე  
რუსეთის მთავრობას ულრმესი მწუხარება შეჩინას დაჭრის გამოვო. ამ დროსვე ხონთქარმა გაგზავნა ზინოვიევთან დიდი ვეზირი, რომელმც გარდასცა  
რუსეთის ელჩს, აბდულ-ჰამიდი დიდად სწუხს მაგ ამბის გამოვო და დაარწმუნა, რომ უკვე ყოველივე ლონისძიება მიღებული ამ საქმის სასტიკად გმო-  
ძიებისათვის და არნაუტთა ამბოხების მოსპობისათ-  
ვის. ყოველივე ესე ხორთქრის სახელით გარდმო-  
ცემული, რუსეთის მთავრობამ იუწყა და დაავალა ზინოვიევს, მტკიცედ მოითხოვე პორტასაგან, რომ  
დაუყოვნებლივ იქმნას მიღებული ყოველივე ლო-  
ნისძიება დამნაშავეთა სასტიკად დასჯისათვის; ამას-  
თანავე მიტროვიცას გაგზავნილ იქმნას უსკიუბის კონსული მოსკოვში. შეჩინას ადგანან ამ ქამად  
დივიზიის უმთავრესი მკურნალი იაკობი, რომელიც  
გაუგზავნა სამის ვალაიეტის მთავარ ინსპექტორმა ხილმი-ფაშამ და ბელგრადელი მკურნალი სუბოტიჩი  
წასულა მიტროვიცას სერბიის მეფის ბრძანებით რუსეთის კონსულის მოსარჩენად. ამათ გარდა, ხონ-  
თქრის სურვილისამებრ, მიტროვიცს იქმნა გაგზავ-  
ნილი საუკეთესო ჯარის-ექიმი და დოსტაქარი კამ-  
ბორ-ოლო, დაჭრილის მდგომარეობა, მკურნალთა

აზრით, თუმცა ძალიან გაჭირვებულია, საშიში არ არის მისის სიცოცხლისათვის. როგორც ახალი ამ-  
ბები მოდის, პორტა ნამდვილად სცდილობს ბოლო  
მოუღლოს არნაუტების თავგასულობას და იქ, საღაც  
მღელვარებამ და ამბობია, უკვე გაგზავნილ იქმნა  
საკმაოდ დიდი ჯარი ოსმალთა, უმეტეს ნაწილად  
მცირე აზიილგან.

\* \* \*  
გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია:

ქალაქ ბათუმში, 9 მარტს, დიღით, დიღ ძალმა  
მუშებმა თავი მოიყარეს სადგურზე იმ დროს, რო-  
დესაც მატარებელი უნდა წასულიყო. მუშები შეი-  
კრიბნენ იმ ვეკილების გასაცილებლად, რომელნიც  
სამართალში მიცემულ მუშებს იცავლნენ. როდესაც  
მატარებელი დაიძრა, ბრძომ ააფრიალა დროშა და  
„ურა“-ს ძალილი ლიანდაგს აქეთ-იქიდან მატარე-  
ბელს გაჰყენა.

რაიმე უბედურების თავიდან ასაცილებლად,  
მემანქანემ მატარებელი გააჩერა, რომელიც რამდე-  
ნისამე წუთის შემდეგ ხელ-ახლა დაიძრა, როდესაც  
ხალხმა ლიანდაგი დასცალა.

სადგურიდან ხალხი მარიინის პროსპექტით გაე-  
მართა. გზაზე მუშებმა არმდენიმე დროშა კიდევ  
ააფრიალეს. ამ დროშებზე მთავრობის საწინააღმდე-  
გო წარწერები იყო. პროსპექტზე რამდენჯერმე კი-  
დევ გაისროლეს რევოლვერები, მაგრამ ვნება არა-  
ვისოვის მიუყენებია, მხოლოდ ჩამტვრია ფანჯრები  
„ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ის რედაქციისა და ბ-ნ  
ერნისა და ამერიკის ელჩის სადგომებში.

ამის შემდეგ, როდესაც დაინახეს სამხედრო  
რაზმის მოახლოვება, ხალხი დაიშალა.

ქალაქ ბაქოში, 2 მარტს, დიღის თორმეტ  
საათზე, მარიინის ბალის მახლობლად დაიწყო თავის  
მოყრა ხალხმა, რომელიც ყვირილით პარაპეტისაკენ  
გაემართა, თან გზაში მთავრობის საწინააღმდევო  
შინაარსის პროკლამაციებს ისროდა; ასეთავე პროკ-  
ლამაციებს ზოგიერთ სახლების ფანჯრებიდანაც ის-  
როდნენ. პოლიციამ ყაზათა დახმარებით ხალხის  
ნაწილი გაპფანტა, მეორე ნაწილი მარიინის ბაღამ-  
დე მივიდა და შეუერთდა იქ უკვე თავ-მოყრილ  
მანიფესტაციებს. აქ ბრბო ყვიროდა და პროკლა-  
მაციებს აბნევდა, ამასთან ქვებს ესროდა პოლიციისა  
და ყაზახებს, ხოლო შემდეგ, როდესაც პოლიციია  
და ყაზახები შეკრებილთა გაფანტვას შეუდგნენ,



ხალხი მარიინის ქუჩით, პეტროვის მოედნისაკენ გაემართა. მარიინის პროსპექტზე ერთი წუთით წი- თული დროშა ააფრიალეს.

მეორე ბრძო კრასნოვოლეკისა და მერკურია- ვის ქუჩების კუთხიდან სალდათის ბაზრისაკენ გაე- მართა. მაგრამ იქვე მყოფ რაზმის უფროსის მიერ მიღებულ საშუალებით გაპუანტეს, ამასთან რამდე- ნიმე კაცი საზღვაო სასწავლებლის ეზოში შეაგდეს, სადაც დააპატიმრეს კიდეც. ბრძოლან გასროლილ ქვით ერთი ყაზახი თავში დაიჭრა.

რაღაც ბაქოს გუბერნატორი ქალაქში არ იყო, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი, ვა- ცე-გუბერნატორი დ. ს. ს. ლილევი ბრძოსაკენ გაემართა, ბარიათინსკის ქუჩაზე შეხვდა იმის ნაწილს და წინადაღება მისცა დაშლილიყო, რაც ხალხმა შეასრულა კიდეც. ამ ღრის მარიინის ქუჩაზი გა- მონდა მეორე ბრძო. კიცე-გუბერნატორი ამ ბრძო- საკენ გაეშურა, მაგრამ ამ ღრის პეტროვის მოედ- ნიდან მოესმა ორჯელ გასროლილ რევოლუციის ხმა; გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი გაღმოვიდა ეტლიდან, გაემართა დასახელებულ მო- ედნისაკენ და რჩევა დაუწყო ხალხს—უწესოება მოესპო. ამ ღრის დ. ს. ს. ლილევი მსუბუქად დასჭრეს თავსა და ხელში. ორჯესაც მახლობელ კერძო სახლში ექიმებმა ჭრილობა შეუხვიეს, დ. ს. ს. ლილევი ხელახლა შეუდგა ქალაქში სიარულს და განკარგულების მოხდენას უწესოებათა მოსახ- ბობად.

ნაშუადღევის ორის საათისთვის ყველაფერი დაწყინარდა.

იმავე დღეს, ნაშუადღევის მეხუთე საათზე, ბა- ლახანაში, ბრძო, რომელშიაც დაახლოვებით 2,000 კაცი იქმნებოდა, შეიკრიბა ვილინის პრომისლებზე და დაიწყო ყვირილი და ხმაურობა, მაგრამ მოსულმა პოლიციმენტერმა ურჩია შეკრებილთ დაშლა და მეშვიდე საათზე ბრძო დაიშალა.

უწესოების ღრის ბაქოში შეიპყრეს 21 კაცი; ამათგან 18 კაცი გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა, სახელმწიფო წესიერების დაცვის დებულების თანახმად, დააპატიმრა ბაქოს საპურო- ბილეში, ხოლო სამი—ორი რეალურ სასწავლებლისა და ერთი მიხეილის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლე, გადაეცა სამოსწავლო უწევებას.

## ახალი აქტები და შენიშვნები.

\* \* ზეტერმურგიდან „ივერია“-ს ატემბინებენ, რომ ტეილისის ებრაელთა დეპუტაციას თავისი მინდობილია უკვე აღუსრულებია და ტფალისში ბრუნვება. ის ებრა ელები, რომელიც ადმინისტრაციის ბრძანებით ტფა- ლისიდგან უნდა გადასახლებულიერება, დატოვებულ იქ- ნებ ტფალისში სექტემბრამდე; მასამდის ეს საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდება.

\* \* შარშან ამიერ გაფეხსის რკინის გზას შემთხვე- და სულ 28,334,265 მანეთი, წინა წელზე 417,400 მანეთით მეტი. საჯირი ყოფილა 15,166,310 მან. ასე რომ, დარჩენია გზას—13,187,955 მან.

\* \* 18 აპრილიდან მეთექ ქლასის გაგონები იქნება შემთხვეული. აქამდეც იყო ეს ვაკონები, მაგრამ თუ არ 30 კაცს ერთად, ისე არ მიჰყეიდანენ ხლომები ბი- ლეთების. ახლა კი უგველ თითოეულ მსურველთაც შეე- დება იაფი ფასის ბილეთი იყიდოს და იარს მეთექ ქლასით ბათუმიდან ბაქომდე და ბაქოდან ბათუმამდე.

\* \* 15 აპრილს სრულდება 30 წელიწადი პროფე- სირის პ. გ. მედიაქშილის სამეცნიერო მთავრისტებისა.

\* \* ქუთაისიდან სწერენ „ივერია“-ს: 13 მარტს, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამდიდობა ბ-ნ პეტემფეიისაგან დეპეშა მიიღო, რომლითაც აუწესებს, რომ სამინისტრომ გადასწევიტა, ზუგდიდიდგან ახალ-სენა- კამდე გაეცანილ იქმნას შავა-ზღვის ბირის რკინის გზათ. ბ-ნი კეგამოვა ზუგდიდის მაზრის უფროსია. ის ზუგ- დიდელებისაგან არის გადასაზღვავი ნეტერმურგში მათს წარმომადგენლად.

\* \* როგორც თფილისის რესულ კაზეთების შეუტ- ევიათ, აპრილში შეტერმურგიდან კაფესიაში მოვა გე- ლოდი. გელოდიგმა უნდა გამოიყენოს სამად- ნეულო სიმდიდრენი.

\* \* „ივერია“-ს შეუტყვია, რომ ყოვლად სამ- ლვდელო დიმიტრი დარიშვანი კავკავის ეპარქიის დროებით მართველად.

\* \* როგორც ამბობენ, ტფილისის სასულიე- რო სასწავლებლის ზედამხედველი ბ-ნი პასკევიჩი გადაპყავთ მოსკოვის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.

# სახელმძღვანელო, საქაუკადლებო, საჭირო და სასამართლო ცნობათა განცხავილება.

მართლმადიდებლობით — ქრისტეანებრივის სა-  
ქადაგებით საზოგადოებითის დაცის მსახურე-  
ბის უნიტარულება.

(გაგრძელება. ი. „მწევა“ № 1—2).

რადგან დაცის მსახურების დროს ხშირად  
გვესმის ხოლმე სიტყვა: ცხოვრება, ანუ ცხოვნება,  
ამისათვის საჭიროა ცოტათ იუ ბერად ნათლად  
წარმოვიდგინოთ, თუ რა არის ცხოვრება, ანუ ცხოვ-  
ნება, რაში მდგომარეობს იგი და რა სახით მო-  
ვნება იგი კაცის მიერ.

კაცის ბუნება განხრწნილია, ცოდვებით დაწ-  
ყლულებულია. ადამიანის მნებელობა და საერთოდ  
ყოველი სულიერი ძალი მიდრეკილი არიან  
უფრო ბოროტისადმი, ვიდრე კეთილისადმი. კაცი  
უფრო ადვილად და სიამოვნებით აკმაყოფილებს  
სინიდისისა და ლვთის მიერ აღკრძალულ და მავნე-  
ბელ ბიწიერ მოთხოვნილებებს თვის ბუნებისას,  
ვიდრე კეთილ და ლვთის სათნო მოქმედებათი. რა  
შედეგი მოსდევს კაცის ასეთს ქცევასა? პირველად  
ის, რომ ბიწიერი სურვილნო უფრო და უფრო  
იზრდებიან, მატულობენ, ადამიანის მთელ ბუნებას  
ატყვევებენ, შეაქვთ მასში აღრეულობა, იწვევენ  
უკმაყოფილებას. თვით ცოდვას ისეთი თვისება აქვს,  
რომ მას, თუ პირდაპირ არა, შემდეგში მაინც უსა-  
თულო, უსიამოვნება, მწოდება თან ცვება; და  
რამდენადაც იგი ხშირად, განიმეორების, იმდენად  
იგი უფრო ძლიერდება, ფეხს იკიდებს ადამიანის  
სულში, და მისგან წარმოშობილი უკმაყოფილებაც  
მატულობს. მეორედ, ბოროტნი მიდრეკილებანი  
ადამიანს ნიჭს უხშევნ, უჩლუნგებენ, შემოქმედებით  
ძალსა და ნათლიერებას უსუსტებენ, და ამის გამო  
იგი ვერ შესძლებს იცხოვროს ნორმალურის, წესი-  
ერის ცხოვრებითა, ქმნას იგი, რის ქმნაც მას შეე-  
ლებოდა, ბოროტებით შეპყრობილი რომ არ ყო-  
ფილიყო. მესამედ, ადამიანი გრძნობს, რომ იგი არ

შერება იმას, რასაც მას შინაგანი ზნეობრივი კანო-  
ნი, ანუ სინიდისი უჩვენებს და ღმერთი უბრძანებს,  
რომ იგი თვისთ ცუდ ჩვეულებათა მონაა, რომ იჯა  
თვისს კაცურ დანიშნულებას არ ასრულებს. ეს გა-  
რემოება მას აწუხებს, სინიდისი მას ჰქენჯნის, მოს-  
ვენებას არ აძლევს. მართალია, კაცი სინიდისის  
მხილებას უგულებელ ყოფს; ეს ხდება მაშინ, რო-  
ცა იგი ქვეყნიურ სიამეს ეძლევა. მაგრამ ასეთი მდგო-  
მარეობა კაცისა მოკლე ეამიტორია; ყოველივე სიამე  
ამა სოფლისა დაუდგრომელია; გაივლის იგი და  
ადამიანს სინიდისი ეღვიძება, და იგი მას უმოწყა-  
ლოდ, სასტიკად სჯის, უსიამოვნო გრძნობებს ბა-  
დავს მის სულში და მას სიცოცხლე ეწამლება. მე-  
ოთხედ, ცოდვა ადამიანის ხორციელ ბუნების კე-  
თილდღეობასაც არღვევს ხოლმე, სხეულში მრავალ  
გვარი ავადმყოფობას ბადავს. ავიღოთ სიფიცხლე —  
მრისხანება, შური, სიძულილი. ასეთი სულიერინი  
მდგომარეობანი სისხლის გადაჭარბებულ მოძრაობას  
იწვევენ, ნერვები გარდამეტებულ მღელვარებაში  
მოყვათ და ასუსტებენ მათ. ხოლო ნერვების სი-  
სუსტეს, აშლილობას სხვა-და სხვა გვარი ავადმყო-  
ფობა თან მოსდევს. ანუ ავიღოთ უზომო სმა-ჭამა.  
ეს თან-და-თანისით ასუსტებს კუჭეა, რომელზედაც  
დამოკიდებულია მთელის სხეულის სისალე. თუ კუ-  
ჭი ჯეროვანად ვერ მოქმედებს, მოშლილია, მაშინ  
კაცს მრავალგვარი ავადმყოფობა უჩიდება ხოლმე.  
ანუ კიდევ ავიღოთ მრუშობა. ეს სენი დიდად დამ-  
ოუბველია კაცობრიობისა. რამდენ ნაირი სნეულე-  
ბაა მისგან წარმომდგარი, ვინ მოსთვლის! ასე, ყო-  
ველივე ცოდვას სნეულება თან ცვება. სცოდავს  
კაცი ავადმყოფობანი მასში ფეხს იღებენ, და რაც  
მეტი დრო გადის, იმდენად იგი უფრო და უფრო  
სცოდავს, და ამასთან ერთად მასში სნეულებანი  
მრავლდებიან, ძლიერდებიან. დაზიანებულ ხორცი-  
ელ ბუნების მქონის ნაყოფიც სუსტია. შვილი მა-  
მათაგან სხვა-და-სხვა გვარ სნეულებებს იმკვიდრებენ;  
ესენიც თვისთ ავადმყოფობათა შვილთა გადასცემენ  
ხოლმე. ამ რიგაც, ავადმყოფობა საშვილისშვილოდ  
გადალის და მთელი შთამომავლობა სნეულდება.  
ახლა ჯანმრთელ კაცს ვერსად ვერ იპოვით; ყვე-  
ლის რამე ავადმყოფობა აწუხებს, ყველა რამე  
სატკივარს უჩივის. ასე მთელი კაცობრიობა უთვა-  
ლივ სნეულებათაგან წვალობს. მეხუთედ, ყველანი  
უზომო თავმოყვარეობით და პატივის-მოყვარეობით

არიან შეცყრობილნი; ყველას სურს გახდეს სხვებზე უძირველესი, უწარჩინებულესი შეძლებითა და გავლენით. აქედან წარმოსდგება ერთმანერთთან შეტაკება, ერთი მეორისადმი სიძულილი, შური, მტრობა. ებრძვიან ერთი მეორეს, სცდილობენ ერთმანერთი დამარცხონ, ერთი-მეორის კეთილდღეობა და-არღვიონ და სხვის უბედურებაზე პირადი ბეჭნიერება აღაშენონ; არ უთმობენ ერთმეორეს, და ესრედ ერთმანერთს სიცოცხლეს უშამლვენ, უმოკლებენ. გამწვავებული და დაუსრულებელია ბრძოლა კაცთა შორის და მის გამო კაცობრიობა კვნესის, იტანჯება. მეექცედ, რადგან კაცის უნდეში ბორტები მფლობელობს, რადგან მან ამით ლცისა მსგავსება დაკარგა, ამის გამო უფალი იმისგან განშორებულია; ღმერთი არის უწმიდესი ორსება და იგი უერთდება მხოლოდ წმიდა, კეთილ არსებასა; არა არ ერთობა ნათელსა და ბნელსა შუა, კეთილსა და ბოროტებას შუა. ასე, უფალი ცოდვილ ადამიანს არ ასულდგმულებს თვისის ცხოველს მყოფელის მადლითა; ამის გამო მას არ ძალუს ნამდვილის, ჯეროვანის ცხოვრებით იცხოვროს და ბეღნიერი იყოს. არ შეუძლია იმიტომ რომ, მისი ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მას შეუძლია წესიერის და ბეღნიერის ცხოვრებით იცხოვროს მხოლოდ მაშინ, როცა ღმერთთანაა დაკავშირებული. კაცი ღვთის ქმნილებაა, იმისგან მიიღო მან თვისნი სულიერნი ძალნი, მისი მდგომარეობა მუდამ იმის ნებაზეა დამოკიდებული; ამის გამო, მხოლოდ იმასთან ერთად ყოფნითა, მის მიერ ნაჩვენებ კანონისა და ბრძანებისამებრ ცხოვრებითა შეუძლია მას გახდეს სულიერად ამაღლებული, განათლიერებული და ბეგნიერი. გარეშე ღვთისა კი კაცური ცხოვრება და ნეტარი ცხოვრება შეუძლებელია. როგორც რქა ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ მოიკვეთა ვაზისგან, როგორც რომელიმე მანქანა მუდამ რიგიანად ვერ იმოქმედებს, თუ მას გამკეთებელი, ანუ მურანე კაცი თვალ-ყურს არ იდევნებს, არ ასწორებს, როცა მასში რაიმე გაფუჭდება, მოიშლება, თავ-თავის დროზე არ ასუფთავებს და სხვა,—ისე ადამიანიც, თუ მას ღმერთი არ ეხმარება, არ აცხოველებს, ნამდვილ კაცურ თვისებებს ვერ გამოიჩენს, ვერ მიაღწევს ბეგნიერებას და მუდამ უკმაყოფილო იქნება:

აი ამ ზომამდე მიიყვანა ცოდვაშ ადამიანი, ასე აღსავსეა მწუხარებით კაცობრიობის ცხოვრება.

იტანჯება ადამიანი, მაგრამ თანაც სურს ტანჯვა-წვალებას თავი დააღწიოს, კმაყოფილება მოიპოვოს. ხოლო რა რიგ შეუძლია მას ამ გასაჭირ, საუბედუ-რო მდგომარეობისაგან თავი გამოიხსნას, განთავი-სუფლდეს?

რათა კაცმა დაიხსნას თავი მრავალ გვარ ტან-ჯვა-წვალებისაგან, ამისათვის მან უნდა მოსპოს თვის შორის ის მიზეზი, რომელმაც მას განუხრწნა, დაუ-ზიანა ბუნება და ამ ცუდ, აუტანელ მდგომარეო-ბამდის მიიყვანა იგი, ე. ი. მან უნდა დასორუვვნოს ცოდვა. ხოლო რათა მან შესძლოს შეებრძოლოს და განდევნოს გამეფებული ბოროტება, ამისათვის მან თავდაპირველი თვისი ყურადღება, თვისი გო-ნება ღვთისამი უნდა მიაქციოს, მუდამ მასზე უნდა ფიქრობდეს, მარადის მას უნდა იგონებდეს და მის მოქმედებას უნდა წარმოიდგენდეს. თვის ბუნების გასწორებისა და სრულყოფისათვის კაცმა უნდა მი-მართოს ღმერთისა მიიტომ, რომ ბუნების გასწორება რვივე გარდაქმნაა. ცოდვა ისეა თანშეზრდილი ადა-მიანის ბუნებაში, იგი იმნაირადა გამჯდარი იმის ძვალსა და რბილში, იმისი მნებელობა იმდენადა დატყვევებული ბოროტების მიერ, რომ ბიშვერ მი-დრეკილებებთან ბრძოლა უფრის ბუნების ხელმძო-რედ შექმნას. ხოლო ბუნების გარდაკეთება ძალუს მას, ვინც იგი შექმნა, ე. ი. ღმერთისა, სწორედ ისე, როგორც გაფუჭებულის მანქანის შეკეთება მხოლოდ მანქანისავე მკეთებელს შეუძლია ხოლმე. მაგრამ ღმერთი ხომ უხილავი არსებაა, იმისი შინაგანის ცხოვრების გაეგა შეუძლებელია. და მაშასადამე კაცს, რომელიც ხორცებს ხელშემული არსებაა, რომელიც უხილავ არსებას ვერ წარმოიდგენს და ვერ შეუერთ-დება, როგორ შეუძლია მიაპყროს თვისი გონება უფალსა, შეიყვაროს იგი და დაუკავშირდეს მას? აი აქ ყოვთად სახიერმა ღმერთმა კაცს დიდი დახმა-რება აღმოუჩინა. მეორე პირი ღვთაებისა, დე ღმერ-თი, განხორციელდა, განკაცდა, მოვიდა სოფლად. დე ღვთის კაცთა შორის ცხოვრებითა ცხადყოფილ იქმნა ღვთაება. იქსო ქრისტესით ადამიანს მიეცა ხილული სახე ღვთაებისა, მიეცა საშუალება წარმო-იდგინოს ღმერთი და შეუერთდეს მას. ასე, პირდა-პირი, უმაშვალობითი დამოკიდებულობა ღმერთთანა შეუძლებელია და ამიტომ ყოველმა კაცმა, ვისაც კი სურს ღმერთთან კავშირი იქონიოს, აუცილებ-ლად მაცხოვრის სახე თვალწინ უნდა დაიყენოს, იგი

უნდა შეიყაროს, მას უნდა უსმინოს. მან მიტომაც სთქვა, მე ვარ გზა ჭეშმარიტება და ცხოვრება; ვერების შეუძლია მისვლა მამისადმი (ლვთისადმი), გარნა ჩემ მიერო. წარმოლენა მაცხოვრისა ჩვენისა იქსო ქრისტესი და მასთან ერთად ღვთისა გამოიხატება სავსებით ლოცვაში; ლოცვაში ადამიანი იგონებს ღვთის სიდიადეს და სახიერებას და გრძნობს მისდამი სიყვარულსა. ვინც ხშირად იგონებს უფალსა იქსო ქრისტესა, ნათლად, ცოცხლად ისურათხატებს იმისს ნათელ-მოსილ ცხოვრებასა, იგი ამით ამტკიცებს, რომ მას მართლა ღრმად უყვარს ეს ღვთისა და ნამდვილად სურს იმასთან დაკავშირება. სიყვარული მაცხოვრისა და ღვთისადმი მხოლოდ მოგონებითა და ლოცვით კი არ უნდა განისაზღვრებოდეს; ამასთან ერთად აუცილებლად საჭიროა მნებელობის მოქმედება, ასრულება იმისა, რასაც უფალი გვიპრძანებს; მისი ნება კი მდგომარეობს იმაში, რომ გავისწოროთ ბუნება, გავიუმჯობესოთ ცხოვრება, შევიძინოთ მის მიერ ნამოძღვრებნი სათნოებანი. თვით გასწორება, ბუნებაში ღრმად ჩანერგულ ბოროტ მოთხოვნილებათა ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა და სითნოებათა შეთვისება სრულდება კაცის და ღვთის ძალთა შეერთებულის მოქმედებითა. ერთის მშრით საჭიროა თვით კაცმა გამოილოს ხელი, თვისთ ბიწიერ სურვილებთან იწყოს ბრძოლა; მეორეს მშრით კი საჭიროა, რომ ყოვლად სახიერი ღმერთი მას ამ საქმეში დაეხმაროს, თვისი მაღლი მიანიჭოს.

### გაჭახაშე

(გაგრძელება იქნება).

## საქართველოს კონსტიტუცია.

კით. პირველ შეწირულის წირვის შესრულების დროს არის საჭირო თუ არა მდუღარების ხმარება?

მიგ. არ არის საჭირო, რადგან წინეთ შესრულებულია ყოველივე.

კით. შემთხვევით რომ სეფისკვერი აღარ იშოვებოდეს, შეიძლება თუ არა სხვა პურზე გამოსახოს მდვდელმა ის, რაც სეფისკვერზეა დაწერილი და მასზე სწიროს?

მიგ. იშვიათად მოხდება ასეთი შემთხვევა. უკიდუ-

რესობის დროს შეიძლება სხვა პურის ხმარებაც თუ პური ისეა შემზადებული, როგორც სეფისკვერი, ე. ი. გაფუნქციული და წმინდა პურის ხორბლისაგან.

კით. ქორწინების შესრულება უმედავითნოდ, შეუძლია მღვდელს იმ შემთხვევაში, თუ გარეშე პირი იმყოფება მცოდნე და მომხმარებელი?

მიგ. შეუძლია.

კით. ორი მედავითნე რომ ყავდეს მღვდელს, მაგრამ წილს მარტო პირველს აძლევდეს, ამ შემთხვევაში ამ მედავითნეს მეხუთედი ერგება თუ მეოთხედი?

მიგ. კითხვა რაღაც გაუგებელია. ორი მედავითნე თუ ყავს მღვდელს, წილს ორივეს უნდა აძლევდეს და მაშინ თითო მეხუთედი ერგება თითოს. თუ ერთი შტატ გარეთია და უნაშილო, ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, პირველ მედავითნეს მეოთხედი ერგება კანონით.

კით. ვის ეკუთნის ნამწვი სანთელი მონათვლის დროს გადარჩენილი ემბაზე და რომელიც ხელში ეჭირათ მიმრჩელებს? მშობლები ამ ნამწვ სანთლებს არ ანგებენ მღვდლებს და კანონიერია ეს თუ არა?

მიგ. თუ მშობლებს სურს დაუტოვოს სახლში ნათვლის დროს გადანარჩენი ნამწვი სანთელი, რომელიც მათ იყიდეს, რასაკვირველია, აქვს უფლება დაიტოვონ ისე, როგორც სასიძო და სასძლო იბრუნებენ ნამწვ სანთლებს, რომელნიც ხელში ეჭირათ გვირგვინის კურთხევის დროს. ეს ნამწვი სანთლები შენახული აქვა მათ მოსახლებლად და ნუ თუ ვინმე იკადრებს ამის დაშლის...

კით. შეუძლია თუ არა მღვდელს მწუხრი და ცისკარი დილაზე ერთად ილოცოს და შემდეგ სწიროს?

მიგ. სწორედ ახირებული კითხვა არის და ამის განმარტებას არავინ არ უნდა საჭიროებდეს ჩვენის ფიქრით. ტიბიკინი ცხადად უჩენს ლოცვების დროს და იმ დროს უნდა სრულდებოდეს ყველა ლოცვა.

კით. მე ვმსახურებდი 1867 წლიდან 1869 წლამდე მთავარ-დიაკვნიბაში მასწავლებლად (შტატში თუ შტატ გარედ?), 1869 წლიდან დღემ-



დისინ ვმსახურებ მღვდლობის ხარისხით (შტატში თუ შტატ გარედ?). 1897 წელში ერთი პირის საჩივრით, ბლალოჩინობის თანამდებობიდან გადამაყენეს და სამი თვით მონასტერში ყოფა გადამიწყვიტეს. რომელ წელში დავიმსახურებ პენსია?

მაგ. თუ მთავარ-დიაკონის სამსახური შტატ-გარეშე არ ყოფილა, პენსია უკვე დამსახურებული გაქვთ. ეხლანდელი პენსიის მიღების წესდებულებით, არა თუ მონასტერში ყოფნა, არამედ მედავითნის ხარისხზე ჩამოყვანაც არ აძრკოლებს სამღვდელო პირს პენსიის მიღებისათვის. დანამდვილებით თუ იყით, რომ შტატის ადგილზე მსახურებდი ყოველთვის, პენსია უკვე დაგიმსახურებია.

### შეწირულებანი.

#### I.

მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით დიდი მაღლობა გამოუცხადოთ სოფელს კვალითში მცხოვრებს აზ. იოსებ ალექსანდრეს ძეს გუნდაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამი რწმუნებულს კვალითის წმ. გიორგის ეკკლესიას ხომლი, ღირებული ას მანეთად.

მღ. ანტონ კვანტრიშვილი.

#### II.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით, გულითადი მაღლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი მრევლის მხრით შემდეგ პირებს, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამი რწმუნებულ წკადისის წმ. გიორგის ახალ აშენებულ ეკკლესიას ნივთები: პროვიზორმა სიმონ ზაალის ძე ენუქიძემ 12 ღეროვანი ხომლი, ღირებული 30 მანეთად; დაბა სენაკის ორ-კლასიანი სასწავლებლის ზედამხედველმა სარდიონ ივანეს ძე ენუქიძის ქალი-შვილმა—ფედოსიამ ერთი ხელი დაფარნეები, ღირებული 6 მან.; ჯარის კაცად წასულმა გლეხმა ქრისტეფორე გიორგის ძე ენუქიძემ ღვთის-მშობლის ხატი, ღირებული 3 მან.

მღ. სიმონ ჯაფარიძე.

#### III.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთ „მწყემსი“-ს საშუალებით, ჩემის და ჩემდამი რწმუნებული სკოლის შეგირდების მხრით, უგულითადესი მაღლობა გამოუცხადოთ ქ. ქუთისიში მცხოვრებთ: ვასილ ბერანეიშვილს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამი ნაფიქოვოს საქალებო სამრევლო სკოლისთან დაარსებულ წიგნთ-საცავს 73 ცალი ქართული წიგნები; წმიდა ნინოს სასწავლებლის მერვე კლასის მოწაფეს მარიამ მარგველაშვილს, რომელმაც ამავე წიგნთ-საცავს შემოსწირა 14 ცალი ქართულ-რუსული წიგნები.

ღმერჩმან ინებოს სხვებსაც მიებაძოთ ამათთვის, აღმოეჩინოთ შემწეობა ამ მივარდნილ კუთხეში და მიყრუებულ კავკასიის მთის ძირში დაარსებული სკოლის წიგნთ-საცავისათვის, რომელიც შეტად ღარიბია და ღიდად საჭიროებს კეთილ პირთა ყურადღებას და დახმარებას.

გამგე სკოლისა დიმიტრი ბერულავა.

#### IV.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული უურნალი „მწყემსი“-ს საშუალებით, ნება მოვცეთ მე და რწმუნებულ ჩემდამო დიდხანის მაცხოვრის ეკკლესიის სამრევლოს, უგულითადესი მაღლობა გამოუცხადოთ: ბლალოჩინის მღვდლის ვ. ბერიძის მეუღლეს ქ-ნ პელაგია აფაქიძის ასულს, რომელმაც შემოსწირა ერთი გარდამოხსნა, ღირებული 30 მან., მევრივი თავადის ფარნა აფაქიძისა კნ. ჩიქოვანის ასულს, რომელმაც შემოსწირა ერთი საცეცხლური, თავადს პლატონ გიორგის-საე აფაქიძეს, რომელმაც შემოსწირა ტრაპეზის დიდი სანაწილე ახალი ხელობის ოქროთი დაფერილი, ღირებული 35 მან. 70 კ., გლ. მარკოზ ნაჭყეპიას, რომელმაც შემოსწირა საქორწინე გვირგვინი, გლ. ნიკო თეონიას ძეს გვაძაბიას, რომელმაც შემოსწირა ხატი ღვთის-მშობლისა ღირებული 10 მან.

დად-ხანის თაშტ. ებ. მდ. ათ. თოდეუ.

# განცხადება.

გილვა ხელის-ოფიციალური 1903 წლისათვის ორა  
კვირეულ გამოცემათა ჩართულს

## „მარტის“ - ზე



რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

კურნალის ფასი:

12 თვით **«მწყემსი»** 3 გ. | 6 თვით **«მწყემსი»** 23.  
— „, რუსული „, 3 გ. — „, რუსული „, 2 „  
— „, ორივე გამოცემა 5 „ — „, ორივე გამოცემა 3 „  
ზაზეობები ხელის-მოწერა შეიძლება დაბა  
უვარისადმი რედაქციაში, ქუთაისში ბ ნ ესტატე  
ღამბაშიძესთან, თბილისში წერა-კარტველის გამარცე-  
ლებელ საზოგადოების წაგნის მაღაზიაში, ბ. შიო  
ქუჩუაშვილთან. ახალსენაგში — ბლაღორი მაჭა ა. რ.  
კალანდარი შეიძლოთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ განვითები დაეთმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გა-ოკუპა-სამ მანე ეთად.

რედაქცია იმუოფება დ. უგრივადადმი რედაქ-  
ტორის საკუთარ სახლებში.

**ბარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ**  
ამ ადრესით: Въ Квирили, въ редакцію газеты и  
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელ-  
ნიც ნახევარ ფისად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა  
სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კა-  
თალოგი დრო-გამოშვებით უურნაოშიდაც იძევდება  
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

**უპირილაში** გალობის მასწავლებელი  
სერგი ჯინგველაშვილი ასწავლის ქართულს  
საგველესთ და საერთ გალობას ნოტების  
საშეალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს  
საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბინა: ბესარიონ მოდებაძის სახლი—  
საზინის ბირდაპირ.

ამით კაუჩუებ ბატიგცემულ საერთ და სამ-  
დგრელო წოდებას, რომ მე გავხსენი დაბა  
უვირილაში სადურგლო კანკელისა და ივა-  
ნოსტასების დასამზადებლად. კანკელებს, ცალ-  
კე სამეუფერ კარებსაც ვიღებთ ძლიერ იაფად.  
იმედი კვაჭეს, რომ ბატიგცემული საზოგადოება  
და სამდგრელოება ჩვენი ნაკეთებით არ დარ-  
ჩება უკმაყოფილო.

იკონოსტასის მეტებელი ტ. ჯიშვარანი.

## ქუთაისში

ს. გ. ბ. იკონოსტას

ს ა კ ა ღ მ უ რ ც რ უ ბ,

რომელიც იმუოფება მათი უმაღლესობის პრინც  
ალექსანდრე თლდენბურგელის მფარგელობის  
ქვემ, 60 საწოლია შინაგან, ნერგებისა, სახი-  
რურებო, ღეღათ და თვალით ავადმეოფთხთ-  
ვის, მმობიარეთა განუოფილებით და ქიმიურ-  
მიკროსკოპიულ გამოკვლევითა კაბინეტით.  
გადამდების სენითა და სულით ავადმეოფთ  
სამკურნალო არ ღებულობს.

ვ.